დამტკიცებულია შპს ევროპის უნივერსიტეტის რექტორის
2026 წლის 5 ივნისის N48778 ბრძანებით

კონფიდენციალურობის პოლიტიკა

წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკა განსაზღვრავს შპს ევროპის უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) მობილური აპლიკაციის გამოყენების წესებს, პირობებს, მონაცემთა დამუშავების ფარგლებს, მიზნებსა და პრინციპებს.

1. მონაცემთა დამუშავების მიზნები

აპლიკაცია უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სერვისებსა და ინფორმაციაზე, მათ შორის აკადემიურ და ადმინისტრაციულ რესურსებზე უსაფრთხო მობილურ წვდომას. აპლიკაციაში არსებული ინფორმაცია მიიღება უნივერსიტეტში არსებული აქტიური საინფორმაციო სისტემებიდან და მონაცემთა ბაზებიდან.

აპლიკაცია ინფორმაციას იყენებს მხოლოდ ავთენტიფიცირებული მომხმარებლებისთვის, უნივერსიტეტის სერვისების მიწოდების მიზნით.

აპლიკაცია არ იყენებს ანალიტიკურ, სარეკლამო ან მომხმარებლის ქცევის თვალთვალის ტექნოლოგიებს და არ არის დაკავშირებული პირდაპირ მარკეტინგთან.

2. მონაცემთა დამუშავების ფარგლები

წინამდებარე აპლიკაცია ამუშავებს და მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომს ხდის საუნივერსიტეტო პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებულ შემდეგი სახის მონაცემებს, მათ შორის, პერსონალურ მონაცემებს:

- უნივერსიტეტის რეკვიზიტები, საკონტაქტო ინფორმაცია, განცხადებები, შეტყობინებები, საჯარო ინფორმაცია, სხვა ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის SIS-სა და მასთან დაკავშირებულ სისტემებში;
- მომხმარებლის სახელი, გვარი, შეფასებები და აკადემიური მონაცემები, წარდგენილ განცხადებებთან დაკავშირებული ინფორმაცია, პირადი ინფორმაცია;
- ინფორმაცია სასწავლო პროცესის განხორციელების, სასწავლო კურსების, განრიგის, სასწავლო ცხრილების, მობილობის შესახებ;
- მომხმარებლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია.

მომხმარებლის პერსონალური მონაცემები, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები, ხელმისაწვდომია მომხმარებლისთვის, აპლიკაციაში რეგისტრირებული პირადი მონაცემების ავთენტიფიკაციის შემდგომ.

3. წვდომის მართვის მიზნები და ფარგლები:

უნივერსიტეტი იყენებს შესაბამის ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომებს მონაცემთა უსაფრთხოების, კონფიდენციალურობისა და უნებართვო წვდომის თავიდან აცილების მიზნით. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების, უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად, წინამდებარე აპლიკაციის მონაცემებზე წვდომის უფლებამოსილება განისაზღვრება შეზღუდული წრით, უფლებამოსილ პირთა მიერ, თავად აპლიკაციის გამართულად მუშაობის, დაცვის, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული უზრუნველყოფილია ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის მიერ.

აღნიშნული მიზნებიდან, აპლიკაცია უზრუნველყოფს შემდეგი სახის ინფორმაციის დამუშავებას:

- მოწყობილობის ტიპი და მოდელი;
- ოპერაციული სისტემის ვერსია;
- აპლიკაციის ვერსია;
- IP მისამართი;
- წვდომის თარიღი, დრო, ფარგლები.

წინამდებარე აპლიკაციის საშუალებით ხელმისაწვდომი ინფორმაცია შეიძლება გაზიარებულ იქნეს მხოლოდ:

- უნივერსიტეტის უფლებამოსილ თანამშრომლებთან მათი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით;
- უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდამჭერი მომსახურების მიმწოდებლებთან;
- მოქმედი კანონმდებლობისა თუ არსებული რეგულაციების მოთხოვნათა შემთხვევაში.

4. მომხმარებლის თანხმობა

აპლიკაციის გარკვეული ფუნქციებიით სარგებლობა, მათ შორის, შეტყობინების, პრიორიტეტული ინფორმაციის მიღება, ფაილის ატვირთვა, ფოტომასალაზე, მიკროფონის სარგებლობაზე წვდომა, შესაძლებელია მხოლოდ მომხმარებლის წინასწარი თანხმობით, შესაბამისი თანხმობის ველის მონიშვნით.

ამასთან, მომხმარებელს შეუძლია ნებისმიერ დროს გამოიყენოს შესაბამისი გრაფა აპლიკაციის სიახლეების, შეტყობინებების მიღების გაუქმების მიზნით.

5. უარი მონაცემთა დამუშავებასა და კონფიდენციალურობის პოლიტიკაზე

მომხმარებელს შეუძლია ნებისმიერ დროს წაშალოს წინამდებარე აპლიკაცია საკუთარი მოწყობილობიდან.

აპლიკაციის წაშლის შემთხვევაში მოწყობილობიდან ავტომატურად წაიშლება ავთენტიფიკაციასთან დაკავშირებული დამახსოვრებული ინფორმაციაც. აღნიშნული არ

იწვევს უნივერსიტეტის მონაცემთა ბაზებში კანონიერად დამუშავებული მონაცემების ავტომატურად წაშლას.

აპლიკაციის გამოყენებისთვის საჭირო სავალდებულო მონაცემების დამუშავებაზე უარის შემთხვევაში, მომხმარებელი უფლებამოსილია გამოიყენოს საუნივერსიტეტო მომსახურების მიღების ალტერნატიული საშუალებები.

6. ცვლილებები

აპლიკაციისთან თუ მის გამოყენებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სიახლე ეცნობება მომხმარებელს, შესაბამისი შეტყობინების გაგზავნით.

საკუთარი მონაცემების ცვლილების/დამატების/განახლების ან დამუშავების აკრძალვის (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული საგამონაკლისო შემთხვევებისა) მოთხოვნის შემთხვევაში, მომხმარებელი უფლებამოსილია დაუკავშირდეს აპლიკაციის ტექნიკურ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს.

საკონტაქტო ინფორმაცია:

Mobile@eu.edu.ge